№ 5 იანვარი 9, პარასკევი 1887 იანვარი 9, პარასკევი № 5

გაზეთი ღირს

თუე	მან. კ.	თუე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდიქელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ИВЕРІЯ

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9) ბ) ლ. ბ. ხიდიქელის გაზეთის საგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, გიმ აზიის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ"

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

კვირას, 11 იანვარს,

ბ-ნ კ. მესხის ბენეფისი,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

ვაი ჭკუისაგან

კომედია 4 მოქმედებად გრიბოედოვისა.

მოთამაშენი: ქქ. საფ -აბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა, მელიქოვისა; ბბ. კ. მესხი, აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი, აწყურელი, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 7½ საათზე.

~~~~

ტფილისი, 8 იანვარი

რუსეთში დიდ-ძალი ფაბრიკები და ქარხნებია ბამბეულობის საქონლის საფეიქრო. თანხა, რომელსაც ამ საქმეში რუსეთი ყოველ წლივ ატრიალებს, რამდენსამე ასს მილლიონს მანეთს იჭერს. ამ ბამბეულობის საქონლის საფეიქრო ფაბრიკებსა და ქარხნებსა რამდენიმე ასი-ათასი მუშა-კაცი უნდება. მაშასადამე, ის გვარი საფაბრიკო მრეწველობა ინახავს და [illegible] რამდენსამე ასი-ათას მუშა-კაცს თავის სახლეულობითა და ცოლ-შვილითა. აქედამა სჩანს, რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საერო ეკონომიისათვის და სახელმწიფო ინტერესისათვის ამ გვარს მრეწველობასა. ხოლო სხვა მხრითაც მეტად საზრუნველია და საფიქრებელი ეგ მრეწველობა რუსეთისათვის. საქმე ის არის, რომ თვითონ მასალა ამ ფაბრიკებისათვის, ესე იგი, ბამბა რუსეთს სამზღვარ-გარეთიდამ შემოაქვს და ამის გამო ეს უშველებელი მრეწველობა რუსეთისა სხვა ქვეყნებზეა დამოკიდებული. რუსეთი ბამბას სამზღვარ გარედ ჰყიდულობს და ამ გზით სამზღვარ გარეთს ყოველ წლივ თითქმის 75 მილლიონი მანეთი ოქროს ფული გააქვს რუსეთიდამ. ეს გარემოება არამც თუ ავნებს ეგრედ წოდებულს „სავაჭრო ბალანსს" *) რუსეთისას, არამედ თვით ვექსილის კურსსაც აფოლებს და ამ მხრით ვნება მოაქვს სახელმწიფო ინტერესებისათვისაც.

ყოველივე ეს კარგა ხანია შენიშნულია მთავრობისაგანაც და რუსეთის ჟურნალ-გაზეთობისაგანაც. დღეს ამ ბამბის თაობაზედ ლაპარაკია ატეხილი იმ აზრით, რომ რუსეთმა როგორმე თავისი საკუთარი ბამბა გაიჩინოს და იქონიოს. საქართველო საკუთრივ, ამიერ კავკასია საერთოდ და შიდა აზია, საცა ეხლა რუსეთს უზარმაზარი ადგილები უპყრია, ასეთი ქვეყნები არიან, რომელთაც ჰავა, ადგილმდებარეობა და თვითონ ადგილი ხელს უწყობს ბამბის მოყვანისათვის. ამ ამბავმა ჩვენ გაგვახსენა 1862 და შემდეგი წლები, როცა ქართლ-კახეთში და ნამეტნავად იმერეთში ბამბის მოყვანაზედ მიიმართა დიდი და პატარა, ვისაც-კი ცოდნა და წელი მიუძლოდა. იმ ხანებში კარგა ძალი ბამბა მოჰქონდათ და კაი ფასადაც იყიდებოდა. ნამეტნავად იმერეთმა იმარჯვა ამ შემთხვევაში, რადგანაც ზღვა ახლო ჰქონდა და გადატანის ფასი შესაძლებელ ჰყოფდა ბამბის საპალნების სხვაზედ იეფად ზიდვასა. რომ ეს ამბავი ჩვენთვის საკუთრივ და ამიერ კავკასიისათვის საერთოდ ალალ-ბედობისა და შემთხვევის მოწყალება იყო, როგორც დღეს პურის ვაჭრობაა ჩვენში, ეს იმითი მტკიცდება რომ დღეს ბამბა თითქმის აღარავის მოჰყავს და მის მოყვანაზედ თითქმის ხელი აიღეს. რა შემთხვევა იყო ისეთი, რომ მაშინ ამისთანა ციებ-ცხელება შეუდგათ ბამბის მოყვანისა და დღეს კი ასე დასცხრა და განელდა?

უველაზედ უდიდესი ბოდაზი ბამბისა ისევ ჩრდილო-ამერიკაა. ასეთივე იყო იგი წინადაც. მთელს საქვეყნო ბაზარს თითქმის მარტო ჩრდილო-ამერიკა უძღვებოდა და აძლობდა. მინამ ჩრდილო ამერიკის საქმე თავის რიგსა და წესზედ მიდიოდა, ბამბა რუსეთის უმთავრესს ბაზარში ნიჟეგოროდის „იარმუკაზედ" ფუთი ოთხსა და ხუთ მანათად გადიოდა. მაშინ, რასაკვირველია, ჩვენებურს მოწარმოებს ბამბისას ხელს არ მისცემდა ბამბა მოეყვანა, რადგანაც მარტო გადატანის ფასი სამ მანათამდე ადიოდა ფუთზედ და მწარმოებელს ფუთზედ ძალიან ძახათი ან ორი ძახათიღა რჩებოდა ყოველ გვარ ხარჯის ასაყენებლად და თავის გასამრჯელოდ. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა გარემოება არავის წააქეზებდა იმ რთულსა, ხარჯიანს და ძნელ მუშაობისათვის, რომელიც ბამბის მოყვანას სჭირდება. ამიტომაც იმ დრომდე ბამბის მოყვანა ჩვენში ისე კანტი-კუნტად სადმე ხილად თუ იქნებოდა, თორემ გამოსარჩომად კი თითქმის არსად იყო, ერევნის გუბერნიის გარდა. ერევნის გუბერნიაში ბამბის მოყვანა ხელს აძლევდა მაშინ, იმიტომ-რომ შიდა რუსეთში რკინის გზები ასე ხშირი არ იყო და ამერიკის ბამბის შემოტანა შიდა რუსეთში ავის გზების ხარჯს ძლივ-ძლიობით ასდიოდა ასე, რომ ერევნიდამ ბამბის წაღება რუსეთში ცოტაოდნად უფრო სარფა იყო, ვიდრე ამერიკიდამა. ეს იმიტომ-რომ შიდა რუსეთის გზებზედ ერევნის გუბერნია უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკა და თუ ამ გზებზედ ორსავე ერთი ხარჯი უნდებოდათ, ამერიკის ბამბას ფასი ემატებოდა ამერიკიდამ რუსეთამდე მოსატანისა.

ხოლო როცა ჩრდილო-ამერიკის შტატებ შორის ომი ასტყდა, მაშინ ბამბის იქიდამ ზიდვა შესწყდა ასე, რომ ევროპიის ბაზარში თითქმის ხსენებაც კი გასწყდა ბამბისა. მაშინ იყო ის სახელოვანი გაჭირება, რომელსაც „ბამბის კრიზისს" ეძახიან და რომელმანც აუარებელი ქონება მეფაბრიკეებისა და მექარხნეებისა შთანთქა და თვითონ ფაბრიკები და ქარხნები ინგლისსა და რუსეთში პირქვე დაამხო. მარტო რუსეთში 659 საფეიქრო ფაბრიკებიდამ, რომელნიც 1860 წელს მოქმედებდნენ, 1863 წელს 388-და დარჩა, თითქმის ნახევარზე ჩამოხტა, ისიც ძლივ-ძლიობით სულს ითრიალებდნენ. ბამბა შიდა-აზიისა და ბუხარისა, რომელიც 1860-მდე ფუთი ოთხ და ხუთ მანათად ძლივ გადიოდა ნიჟეგოროდის დიდს ბაზარში, ჩრდილო-ამერიკის შტატების ომის დროს 1861 წ. შვიდ-რვა მანათამდე აიწია; 1862 წელს თორმეტ-ცამეტ მანათამდე და 1863 წელს კი ოც-და-ორ-ოც-და-სამ მანათამდე. რა თქმა უნდა ამ გვარმა ყოფამ

---

*) სავაჭრო ბალანსი იმასა ჰქვიან, როცა შეწონილია შემოტანილის და გატანილის საქონლის ფასი და თუ შემოტანილისა ალემატება გატანილისას, მაშინ ამბობენ ბალანსი საზარალოაო.

ფელეტონი

~~~~

„ნაკვესის" გამო.

(თ. მ—ძეს)

> Остроуміе есть чиханіе ума.
>
> *Гейне*

> ...Le rire est donc la réaction de la faculté estetique de l'ordre, blessée par le spectacle des choses. Plus l'homme est intelligent est artiste, plus il est copable de cette espèce de rire.

(დასასრული *)

II

ეხლა შევუდგეთ ჩვენის წერილის მეორე, დოღმატიურს ნაწილს და საფუძველი გავუსინჯოთ სიცილს. რა გვაცინებს? რატომ ვიცინით?

ეპიგრაფში მოყვანილი სიტყვები საფრანგეთის მწერლისა წარმოგვიდგენს ჩვენ სიცილს მოკლედ და აკადემიურად განსაზღვრულს. სიცილი არის ესტეტიურის გრძნობის საყვედური, ბუნების წეს-წყობის დარღვევისაგან გამოწვეული.

მგონი ამ დედუქტიურის განსაზღვრით სულ უფრო დავაბნელეთ სიცილი. ისევ ის სჯობია, მაგალითებს დავუბრუნდეთ და დავადგინოთ სხვადა-სხვა რიგი სიცილისა. შემდეგ დავინახავთ, რამდენად მართალია ეს აკადემიური განსაზღვრა.

სიცილი—იგი სიცილი, რომლითაც ფილოსოფოსნი განასხვავებდნენ ძველად კაცსა პირუტყვთაგან—განიყოფება ორ-გვარად: ერთს გვარს სიცილს აქვს წყაროდ ჩვენს შიგან მყოფი სულიერი კმაყოფილება; მეორეს—ჩვენს გარეშე მდებარე სასაცილო მდგომარეობა.

პირველი გვარი სიცილი—ასული სულიერის კმაყოფილებისა—ნაყოფია სიქმაწვილისა, სიმრთელისა, სიმდიდრისა... ამ რიგ სიცილს არაფერი არა აქვს საერთო მახვილ სიტყვასთან და „ნაკვესთან" და ამისთვის ჩვენც განზე ვტოვებთ იმას. ვუჩვენებთ მხოლოდ დამამტკიცებელ მაგალითად: პატარა, სიცოცხლით სავსე ბაშვს, რომელიც მთელი დღე უთავბოლოდ დახტის და კისკისებს; მდიდარ კარაპეტას, რომელიც გიჟივით რახრახებს თვისის ოქროების დანახვაზედ და იმ გოგოლის მომქმედ პირს, რომელიც ხითხითებს კმაყოფილებისაგან, როდესაც თითს დაანაზვევდნენ.

სასაცილო მდგომარეობა კი სულ სხვა არის და ამისი განმარტება უფრო ძნელია. მდგომარეობა არის სასაცილო, როდესაც იგი მოულოდნელია, როდესაც იგი ეწინააღმდეგება ჩვეულებრივს წეს-წყობასა, ჩვენგან ქვეყნად მონიჭებულსა. გამოცდილებამ და დაკვირვებამ შეგვადგენინა ჩვენ ერთ-გვარი აზრი მთელს არსებობაზე. როცა ეს აზრი—მართალი აზრი—უარ-იყოფება ან სიმეტრიის დარღვევით, ან ხასიათის ნაკლულევანებით, ან გონების უმგზავსოებით, ან დაბალის ქცევით, ჩვენი მოტყუებული ესტეტიური გრძნობა სიცილით შეგვატყობინებს მაშინვე ამ უარ-ყოფას. ჩვენ ყველამ ვიცით, მაგალითებრ, რომ მთელი ნაწილზე უფრო დიდია, რომ კაცს პირი-სახეზე ცხვირი აბია, რომ მაღალი და მსუქანი კაცი ძლიერია ეს ის წეს-წყობა არის, რომელსაც ჩვენ შევჩვევივართ პატარაობიდამვე. ეხლა დაარღვიეთ ეს წეს-წყობა, გამოიყვანეთ სცენაზე მაღალი და მსუქანი კაცი, რომლის თვალ-ტანადობამ სამსონ ძლიერი მოგაგონოთ, მოჰგვარეთ იმას ერთი ფინიასავით პატარა მტერი, წააჩხუბეთ ესენი და გააქციეთ გოლიათი ფინიას წინაშე. თქვენ დაინახავთ, რომ ეს მოულოდნელი დარღვევა მოსალოდნელის დასასრულისა სიცილს ასტეხს მაყურებელთა შორის.

დაარღვიეთ მრთელისა და ნაწილის ერთმანერთთან დამოკიდებულება. ნუ იტყვით ჩვეულებრივს ფრაზას: „ამ კაცს ცხვირი აბიაო", სთქვით აკაკისთან: «ამ ცხვირს ეს კაცი აბიაო», და სიცილი აუცდენელი იქნება.

ეს მოულოდნელი დარღვევა ჩვეულებრივის სიმეტრიისა სულ ერთიანად ამხობს ჩვენს ჩვეულებრივს მსჯელობას და თავისის უმგზავსოებით გამოიწვევს ჩვენში იმ ესტეტიურ პროტესტს, რომელსაც ვეძახით სიცილს. უმთავრესი თვისება სიცილისა, მაშასადამე, უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ იგი მოულოდნელია. ყოველთვის, როდესაც ჰპოულობ იმას, რასაც არ ელოდი, ან შეხვდები სულ სხვა საგანს და არა იმას, რისის პოვნის იმედიცა გქონდა, მდგომარეობა სასაცილო ჰხდება. პატარა ბაშვმა ცილინდრი რომ თავზე დაიხუროს, პირში სიგარა გაიკეთოს და ჯოხის ტრიალით ბულვარზე სეირნობა დაიწყოს, ნელის ნაბიჯით, ღრმად ჩაფიქრებულსავით, დინჯად, ჩვენ ყველას სიცილი მოგვივა, ამისთვის რომ ბაშვისაგან ჩვენ სულ სხვა რიგ სიარულსა და ქცევასა ვართ დაჩვეულნი და ეს მაიმუნი კი სულ სხვა სანახავს გვიხატავს თვალის-წინ.

მოვიყვანოთ სხვა სანაკვესო მაგალითები. დავუფიქრდეთ თუნდ შემდეგს სიბრძნე-სიცრუეს:

ქმარი ცოლს ჰღალატობდა... გოგოსთან. ეს რომ ცოლმა შეიტყო, დაიბარა გოგო, მისცა იმას რაც ჯამაგირი ერგებოდა, დაითხოვა და უთხრა:

---

*) იხ. „ივერია" № 4.

ბამბის საქმისამ მთელს ქვეყნიერობაზედ თავისი ზედ-მოქმედება იქონია. მუშტარი ბამბისა ბუზსავით ყველგან ირეოდა, რასაკვირველია, იმ ქვეყნებში კი, სადაც ჰავა და ადგილი ბამბის მოსაყვანად შესაფერი იყო. ამ დიდმა ფასებმა და მუშტარმა ჩვენამდინაც მოაღწია და ყველა დიდი და პატარა, ვისაც კი ხელი მიუწვდებოდა, მიაწყდა ბამბის საქმესა. იმ ხანად იმერეთმა კარგი გამორჩომა ჰნახა და ეს შემთხვევა ყველაზედ უკეთესად იმან გამოიყენა: დიდ-ძალი თესვა ბამბისა დაიწყეს იმერეთში და კარგა ფული გაინაღდეს ამ გზით. დღეს ბამბის მოყვანის საქმე ჩვენში სრულად შემწყდარია და ეს წყარო სიმდიდრისა ხელიდამ გამოგვეცალა. რა იყო ამისი მიზეზი და რა ღონისძიებაა სახმარი, რომ ეს სახეირო საქმე ჩვენთვისაც და რუსეთისათვისაც კვლავ აღორძინდეს, — ამაზედ შემდეგს ნომერში მოვილაპარაკებთ.

ახალი ამბავი

⁂ ამ დღეებში დაიბეჭდა და ისყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ერთი პატარა წიგნი, სახელად «ინსტიქტი» დარვინის მოძღვრებისამებრ. ეს წიგნი შეუდგენია რომანოზ ფანცხავას და ჰღირს სამი შაური.

⁂ ვინმე ივ. ხოტეველს გადმოუთარგმნია რუსულითგან მოთხრობა ჩარლზ დიკენსისა. ეს მოთხრობა უკვე დაიბეჭდა და ისყიდება მაღაზიებში. ფასი ამ წიგნისა სულ ერთი შაურია.

⁂ მოგვყავს ამ თავითვე სია იმ საქმეთა, რომელნიც განსახილველია მომავალს ორშაბათს, 12 იანვარს, ქალაქის საბჭოსაგან: 1) მოხსენება ბ-ნის ალიხანოვისა ქალაქის გამგეობის წევრის ბ-ნ პაპოვის თვის უფლების წრეს გადასვლა ქალაქის ქონებათა ცეცხლისაგან შეკვრის საქმეში, 2) არჩევნები: ა) გამგეობის წევრთა ბბ. პოპოვისა და ხოსროევის მაგიერ, რომელნიც რიგით გამოდიან. ბ) ქალაქის მდივნისა. გ) სავაჭრო დეპუტაციისა. დ) გამსესხებელის კასსის რევიზორებისა. ე) ქალაქის სასწავლებელთა კომიტეტისა. ვ) საშენობლო კომისიისა და ზ) იმ კომისიისა, რომელსაც მიენდობა საქმე შესახებ „ოცენოჩნი სბორის ნედოიმკებისა“.

⁂ ქალაქის ტრამვაის საზოგადოებას განცხადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის, რომ ვერის მხარეს ვაგონები ვერ დადიანო, რადგან რელსები და, საზოგადოდ, რკინის გზის ლიანდაგი მთლად ყინულ მოკიდებული არისო; განსაკუთრებით უჭირთ მიმოსვლა ვერის ხიდითგან ამოსასვლელ აღმართზედაო. საზოგადოება აუწყებს გამგეობას, რომ ამ მიზეზით ამ მხარეს მიმოსვლა ვაგონებისა საზოგადოებამ შეაჩერაო.

გამგეობას ამაზედ უცნობებია, რომ ხელ-შეკრულობის ძალით ტრამვაის საზოგადოების გამგეობას ნება-დაურთველად არავითარი უფლება არა აქვს შესწყვიტოს გზაზედ მიმოსვლაო და თუ ეს მოხდაო, ხელ-შეკრულობის ძალითვე ტრამვაის გამგეობას გადახდება დღეში ოცი თუმანი და მასთან ამასაც ავალებს ტრამვაის გამგებელთა, რომ თუ ლიანდაგი და რელსები მართლად ყინულ-მოკიდებულია, ზედ ერთსაც და მეორესაც მარილი მოაყაროსო.

⁂ გურიიდამ გვწერს სოფელ ჩიბათის მასწავლებელი მ. წივ—ძე შემდეგს: ნება მომეცით თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადო თ. გრიგოლ დავითის-ძეს გურიელს, რომელმაც ამ დღეებში შემოსწირა ჩიბათის სასწავლებელს რამდენიმე ცალი ქართული წიგნები ჩვენის საუკეთესო მწერლებისა. პატივცემული თავადი გრიგოლი შემდეგისათვისაც ჰპირდება სკოლას შემწეობასა. ყოველთვის შემატყობინეთ, რა ეჭირვება სკოლასაო და მზადა ვარ დავეხმაროვო.

⁂ ხარკოვიდამ გვწერენ: აქაური ღარიბი სტუდენტები დიდს მადლობას უძღვნიან ყოვლად-სამღვდელო გაბრიელს, ეპისკოპოზს იმერეთისას, ბ-ნს გიორგის დავითის-ძეს ქართველიშვილს და იულია კალატოზიშვილისას დახმარებისათვისაო.

⁂ სურამიდამ გვწერენ: ამ თთვის 5-ს თბილი დღე იყო და დედა-მიწა ზაფხულივით მშრალი, ღამის 8 საათზე კი თბილი თოვლა დაიწყო; დილამდის ესრე ითოვლა და შემდეგ ზენა ქარიც ამოვარდა. ამ დღეს ნახევარ ადლამდის თოვლი მოვიდა და ამ ჟამად კიდევაც ემატებაო.

⁂ წარსულის თთვის 29-ს სოფ. გუდათუბანში (შორაპ. მაზრ.) გლეხს გუდაძეს მახინჯი ვაჟი-შვილი დაბადებია. ამ ყმაწვილს თურმე საჯდომი სულ არა ჰქონია და უკანა-ტანი ფიცარივით გალესილი და სწორეო. ეს ყმაწვილი, გარდაცვლილა, როგორც მითხრეს დღესაო, გვწერს იგივე სურამელი კორრესპონდენტი.

⁂ კავკასიის რამდენსამე მოვაჭრეს უთხოვნია ამიერ კავკასიის რკინის გზის ინსპექტორისათვის, ნება მოგვეცით გავაკეთოთ ფოთში რამდენიმე ახალი გზა ორთქლის მატარებლისათვისაო. („ნოვოე ობოზრენიე“.)

⁂ იგივე გაზეთი გვაუწყებს, რომ ამას წინად ქალაქის გამგეობაში შეუტანია ბევრს თხოვნა იმ საქალაქო მიწების სყიდვის გამო, რომელიც რკინის გზის სადგურთანა მდებარეობს, მაგრამ რადგანაც ეს მიწები ვაჭრობით უნდა გაიყიდოს და ჯერ კი ვაჭრობა არ არის დანიშნული, ქალაქის გამგეობას ეს არზები უყურადღებოდ დაუტოვებია. გასყიდვა დაიწყობა გაზაფხულზედაო.

⁂ ამ თთვის 1-დამ ჩვენის ქალაქის ყველა სასამართლოებში შემოუღიათ ახალი წესდება ფულის შეტანისა. აქამომდე ყოველი ხარჯი, რომელსაც არდგინდნენ მთხოვნელნი თამასუქებთან, ეძლეოდა იქვე სასამართლოში არზის მიმღებს, ახლა კი, როგორც გვაუწყებს გაზეთი „კავკაზი“, ფული მთხოვნელებმა უნდა შეიტანონ პირ-და-პირ ხაზინაში და არზის მირთმევის დროს მხოლოდ ხაზინის ბარათი უნდა წარადგინონო.

⁂ იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ ტყიბულის რკინის გზის ჩასაბარებლად დაუნიშნავთ სურამის გვირაბის გამყვანთა უფროსი, ბ-ნი რიბევსკი, რომელიც შეუდგება ამ საქმეს გაზაფხულზეო.

⁂ პეტერბურგში 26 დეკემბერს ბ-ნის ა. ფ. კობეკოვის თავს-მჯდომარეობით მომხდარა კრება ძველის სიტყვიერების მოყვარეთა საზოგადოებისა, რომელზედაც ბ-ნს ბარუსკოვს წაუკითხავს ორი წერილი ბ-ნის დ. ჰ. ფურცელაძისა: 1) ალავერდის ტაძარი და 2) შავის მთის მონასტერი.

დამაკვირდი!

სიბრძნე იმოდენად იმაში არ მდგომარეობს, რომ გულთა-ვნება მოიკლა, რამოდენადაც იმაში, რომ თვითონ გულთა-ვნება დაიმორჩილო და ბედნიერების შესაძენად იმსახურო.

(დიუბაი)

⁑

გულადი კაცი იტანჯება უდრტვინველად, სუსტი კი ჰდრტვინავს უტანჯველად.

(ბუასტი)

⁑

ცუდია სიკეკლუცე, რა სიმართლე არ ერთოს.

(ვისრამიანი)

⁑

ჯერედ დაწყნარდი, დამშვიდდი,
მერედ ჰქმენ მართებული.

(მეფე ვახტანგ VI)

⁑

აზრდილ რამ არს წარმავალი
უგული კაცი მზვაობარი,
მოქადული, დიდებისა
მჩემებელი, ცუდ მხმობარი,
თავის საქმის თვით მქებარი,
სხვათა კაცის დამგმობარი, —
მსწრაფლ განქარდეს ვითა კვამლი,
არვინ დაჰრჩეს შემკობარი.

(არჩილ მეფე)

დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმის მაზრა, 10 დეკემბერს. ყველაზედ უფრო სანატრელი დრო წელიწადისა ხალხისათვის შემოდგომა არის. ამას, რასაკვირველია, თავისი საფუძველი აქვს: მთელის წლის განმავლობაში განუწყვეტელის შრომის ნაყოფს მარტო ამ დროს იმკის ხალხი და შემოაქვს ოჯახში. თუ ეს დრო მოსავლიანი და ნაყოფიერი დაუდგა მწარმოებელ ხალხს, თუ თავის ოფლისა და შრომის ღირებული ჯირნახული მოსცა შემოდგომამ, ხალხი წლის განმავლობაში გამოვლილს ტანჯვასა, წვალებას სრულიად ივიწყებს, წელში იმართება, მხნედება და მხიარულებას ეძლევა. თუ სამწუხაროდ, შემოდგომა მჭლე და ღარიბი დაუდგა, ხალხს ერთი-ორად ემატება გამოვლილი ტანჯვა და მწუხარება და სასოწარკვეთილებაში შედის.

წელს სწორედ ასეთი შემოდგომა იყო ჩვენში: ერთობ ღარიბი შემოდგომა დაუდგა წელს ჩვენს ხალხს ღვინის მოსავლით. ამ ჟამად ჩვენს მაზრაში თითქმის შოვნა არ არის ღვინისა. მამულები ისე გააფუჭა „ნაცარმა“, რომ ვისაც ას-ორასი კასრი ღვინო მოსდიოდა, წელს ათიც არ მოსვლია, კარგი იქნებოდა კიდევ, რომ რაც მოვიდა, ის მაინც ჩაითვლებოდეს ღვინოდ. წრევანდელი ღვინო ისეთი საძაგელი მჟავე დადგა, რომ პირში არ ჩაიშვება. ამ გარემოებამ ყველანი ერთ ნაირად დაალონა; მით უმეტესს, რომ ეს რამდენიმე წელიწადია ამ მაზრაში ნაცრისაგან გაფუჭებული მამულები გამობრუნდა, ყველგან საკმაოდ მოდიოდა ღვინო და ხალხიც სიამოვნებდა...

აქაური მოხუცებულები ამბობენ ხოლმე, რომ ნაცრის გაძლიერების უმთავრესი მიზეზი ხმელი, უთოვლო ზამთარი არისო. თუ ეს ცოტაოთი მაინც მართალია, მომავალს წელშიაც ამ მხრით კარგს არას უნდა მოველოდეთ, რადგანაც წლევანდელი ზამთარი ძალიანა ჰგავს შარშანდელსა.

ჩვენის აზრით არ იქნება ურიგო, [illegible] მაზრის მემამულენი აგრონომების რჩევას დაიჯერებდნენ და მამულებს გოგირდის მოყრას დაუწყებდნენ. გოგირდის ფხვნილი, როგორც უკვე დამტკიცებულია, ჰშველის ნაცრით ავად-მყოფს ვაზს. კარგი იქნება აგრეთვე ისიც, რომ ჩვენმა „სამეურნეო საზოგადოება“-მაც მოგვაქციოს თვისი ყურადღება, და რაც კი შესაძლოა, დაეხმაროს ამ შემთხვევაში ლეჩხუმის მაზრის მემამულეთა.

ზოგიერთგან სვანებმა კიდევ არ მოიშალეს თავიანთი ძველებური ბარბაროსული ქცევა: ერთმანერთის ჩხუბა

— წადი, შვილო, შენ რასაც ჩემს ოჯახში აკეთებ, ის ჩემი საქმეა და არა შენიო.

თვით მარფურიოს ფილოსოფოსი რომ იყოთ, თქვენ აქ ან უნდა გაიცინოთ, ან უნდა გაიღიმოთ. რატომ? ამიტომ, რომ თქვენ ცოლისაგან ელოდით საშინელს მრისხანებას, თმისწეწვას, თრევას, ჯოხის გადამტვრევას და ამის მაგიერ დაგიხვდათ დამშვიდებული გული და ლაპარაკი.

ავიღოთ მეორე მაგალითი:

ალექსანდრე დიუმას — მამას — ვიღაც ღარიბის კაცის დასამარხად ერთი ოქრო სთხოვეს.

— ო! ვინ ყოფილა ჩემზე ღარიბი? რა ხელობისა იყო მიცვალებული?

— სუდებნი პრისტავი გახლდათ, უპასუხეს.

— რაო? სუდებნი პრისტავი? მაშ, აჰა ორი ოქრო, ვინძლო ორი სუდებნი პრისტავი დამარხოთ, ერთის [illegible].

როგორც ხედავთ, სიცილი აქაც იმ მოულოდნელს მეორე ოქროზე არის დამოკიდებული, რომლითაც საწყალი, სუდებნი პრისტავებისაგან შეწუხებული, ყელთამდე ვალში ჩავარდნილი დიუმა ითხოვდა მეორე პრისტავის დამარხვასაც.

მოულოდნელის თვისება აქვს ყოველ გვარს მდგომარეობას, რომელიც განგებ არის გადაჭარბებული, ე. ი. ან დიდად არის წარმოდგენილი, ან პატარად, ან ერთობ მაღლა არის დაჭერილი, ან ერთობ ძირს დაწეული. კარრიკატურას და კამედიას ამ წყაროდამ ამოაქვთ თვისი შინაარსი. მახვილი სიტყვაც ამათი ახლო ნათესავია.

მახვილი სიტყვა, მაშასადამე, მთელს თვისს საზრდოს ამ მოულოდნელის და გადაჭარბებულის მდგომარეობიდამ იღებს.

თითონ სიცილი კი, თუ არ უმეტესს, ნახევარზედ მაინც მახვილის სიტყვის გამგონ-წამკითხველზეა დამოკიდებული. მოულოდნელი მდგომარეობა ერთობ ზედ-მიწევნილი (კონკრეტული) უნდა იყოს და სიმეტრიის დარღვევა ერთობ აშკარა, რომ მახვილმა სიტყვამ საყოველთაო სიცილი ასტეხოს. თუ ეს მდგომარეობა და სიმეტრია იმ თვისებისაა, რომ იმათი შენიშნვა ყოველ კაცს არ შეუძლია, რასაკვირველია, სიცილიც არ იქნება საყოველთაო. ეპიგრაფის სიტყვისა არ იყოს, კაცი რაც უფრო გონება განვითარებულია და არტისტი, მით უფრო ადვილად შენიშნავს სასაცილო მდგომარეობას და უფრო ბევრს იცინის. ასე რომ, ღმერთო შეგცოდე და, როდესაც ჩვენის „ნაკვესის“ განკიცხვა მესმის, არ ვიცი რა ვიფიქრო: ნამდვილად არ ვარგა ეს ნაკვესი, თუ მკითხველს აკლია საკმაო არტისტობა, რომ შენიშნოს მისი სასაცილო მხარე. „მეა კულპა!“ ვსცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, მკითხველო.

ესეც კი არის: სანაკვესო მახვილის სიტყვის თქმა სრულებით არ არის ადვილი. მახვილი სიტყვა იქ ითქმის და მადლიც იქ არის, სადა მწერლობას ჰახი-ჰუხი გააქვს, სადა ცხოვრება ღუვის, სადა ხელოვნება და მეცნიერება დუღს, სადა ხალხს მომართული საზოგადოებრივი ცხოვრება აქვს და გაჩარხული კულტურა. ჩვენში-კი არც ერთი ამ პირობათაგანი არ არსებობს, ამიტომაც არის, რომ ჩვენ ერთის, აკაკის გარდა, მახვილი მწერალი არ გვაბადია. მაგრამ არის ჩვენს ცხოვრებაში ერთი პირობა, რომლის წყალობით ჩვენ კიდევ სული გვიდგია საზოგადოდ. და ეს არის ჩვენი წარსული, — ამაზე ლაპარაკი ნურასოდეს ნუ მოგვწყინდება... როდესაც ჩვენებურის უბრალო კაცის მახვილი სიტყვა მესმის, მე ყოველთვის ჩვენი წარსული მაგონდება და გიორგი წერეთლის თავ-გადასავალი. ხომ წაგიკითხავთ რაც დაემართა გიორგი წერეთელს? დამსახურებული მწერალი სადღაც რაჭისკენ მიდიოდა და ღამის გასათევებლად ერთს დუქანში შევიდა, ნაქირალის ნაპრალზე. დუქანში ბელლეტრისტ-არხეოლოგ-ისტორიკოსმა ბიჭს დაუწყო მუსაიფი, რასაკვირველია, სამეცნიერო განზრახვით. და რა გამოდგა? გამოდგა ის, რომ ეს ბიჭი ყოფილა ჩამომავალი ერთის გვარისა, რომელსაც დავით აღმაშენებელისათვის რაღაც დიდი სამსახური გაუწევია და რომელსაც დამამტკიცებელი საბუთი — ეტრატი ხელთ-ჰქონია. ბიჭი „ოჩენ სტარინნაია ფამილია“ გამოდგა, ვეინბერგის თქმისა არ იყოს. ვინ მეტყვის მე, რომ თითოეული ამ მახვილ-ენოვანთა გურულთაგანი არ ეკუთვნოდეს იმავე ნათლით მოსილს ეპოქას საქართველოს ისტორიისას, რომელსაც ეკუთვნის გიორგი წერეთლის მეგობარი. იქიდამ აქამდის რამდენი უნდა ემუშავნა მისის გვაროვნობის გონებას, როგორ უნდა დაეხვნა დროებას მისი ტვინი იმ თხრილებითა, რომელზედაც, როგორც ამბობენ, დამოკიდებულია ნიჭიერება კაცისა, ჭკუა, გონება და, მაშასადამე, მახვილი სიტყვაც.

მაშ გზა მახვილ-ენასა და ნაკვესს! ყური დავუგდოთ ჩვენთა კეთილთა წინაპართ, მათს გონიერ სიტყვას, მათს კეთილის გულისაგან გამოსულ ხუმრობას. მერწმუნეთ, ჩვენ ყველას იმდენი დრო გვაქვს, რომ მარტო ის დრო არ იქნება დაკარგული, რომელსაც ჩვენ მოვახმარებთ მათის «ნაკვესის» გაგონებას და წაკითხვასა.

ლელო

13 დეკ. 1886 წ.

ქუთაისი.

და კელა. დრო-გამოშვებით აქა-იქ კიდევ თავს იჩენს ხოლმე შურის-ძიება და სისხლის აღება. ამას წინად საბატონო სვანეთში, ლაშხეთის საზოგადოების სოფლის ნაკაულის მცხოვრები გლეხი, გვარად ბაკურაძე, დაუჭრია სასიკვდილოდ თოფით ერთს ზემო-სვანს, გვარად ხო—ნს. ბაკურაძე რამდენისამე კვირის შემდეგ გარდაიცვალა ჭრილობის გამო. როგორც ამბობენ, ამ ბოროტ-მოქმედების ჩადენის დროს დამსწრე არავინ ყოფილა, მაგრამ, როდესაც მომაკვდავისათვის ჩვენება ჩამოურთმევიათ, იმას დაუსახელებია თავის მკვლელად ზემოხსენებული ხო—ნი. და ამ უკანასკნელსაც უთქვამს ჩვენებაში, რომ სწორედ მე დავსჭერიო. იმავე ლაშხეთში ამ მოკლე დროში მომხდარა კიდევ ჩხუბი და ხანჯლის ტრიალი, გამოძიება სწარმოებს და, ვინც აღმოჩნდება ამ უკანასკნელ საქმეში დამნაშავე, შემდეგ გაცნობებთ.

ერთი საცოდავი შემთხვევა კიდევ მოხდა ჩვენში: სოფელს ორბელს უგანათლებულესის სამეგრელოს თავადის მამულში უეცრად დაირღვა ციხის გალავანი, რომელიც ამ სოფლის ზემოდ კლდეზედ არის დაშენებული და სამი ბაშვი მოკლა. კარგი იქნება, ამ გვარ ძველ შენობებს მიაქცევდნენ ყურადღებას მეპატრონენი და, თუ საშიშარი აღმოჩნდება, შეაკეთებდნენ, ხოლო თუ შეკეთება არ ეღირება და ისტორიული მნიშვნელობა არაფერი აქვს, თვითვე დაანგრევდნენ. ეს მით უკეთესი იქნება, რომ ისეთ საცოდაობის მოწამენი აღარ შევიქნებით, როგორსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ჟამად დავესწარით.

დღევანდელი ჩვენი წერილი რომ სულ უსიამოვნო ამბის მოთხრობით არ დასრულდეს, ამისათვის მოგვყავს შემდეგი გარემოება: ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ეხლანდელს უფროსს ლეჩხუმის მაზრისას ბ-ნ ალშიბაიას განზრახვა აქვს ჩააგონოს აქაურს გლეხ-კაცობას, რათა მან გახსნას სასოფლო გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობანი. ეს განზრახვა დიდის ყურადღების ღირსია და დიდის სარგებლობის მოტანაც შეუძლიან. ამ აზრის განხორციელება დიდად სანატრელი და სასურველია, მით უმეტესს, რომ არსად მცხოვრებლები ჩვენის ქვეყნისა არ არიან ისეთს გაჭირებაში ჩავარდნილი ფულის შოვნის გამო, როგორც ამ მაზრის ხალხი; ოჯახში ფულის მოხერხების ღონე არა აქვს აქ ხალხს, მეტი ღონე აღარა რჩება და კერძო კაცისაგან იღებს ვალს მამასისხლადა. ფულის გამსესხებელნი არიან აქ ან სომხები და ან ურიები, რომელნიც დიდს სარგებელს იღებენ: თთვეში თუმანზე ან მანათსა და ან სამ-აბაზსა. ესთქვათ, აიღო გლეხმა წლით ასი მანათი. წლის გასულს სარგებელი უნდა მისცეს ას მანათზედ თორმეტი თუმანი!!! ამითი კიდე არა თავდება გლეხის უბედურება: თუ დანიშნულს ვადაზედ ვერ გაიხადა, „შტრაფი“-თა და „ნეუსტოიკით“ ხომ მთლად სული უნდა ამოაძრონ. გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა არის ერთად-ერთი წამალი ამ შემთხვევაში ჩვენის ხალხის ტკივილისათვის.

ქაიხოსრო გელოვანი

ქუთაისი, 6 იანვარს. დღეის დღე ქუთათურებისათვის დიდხანს დარჩება სამახსოვროდა. დღეს, ნათლისღებას, იმ დროს, როცა ყველანი შეკრებილნი ვიყავით რიონის ნაპირას და ვსტკბებოდით წყლის კურთხევის ცერემონიით, აი ამ დროს ჩვენმა თვალებმა იხილა მეტად შემაძრწუნებელი მოვლენა: ცხენოსანი კაცი რიონმა დასძირა; კაცი მთლად დაჰკარგა და ცხენმა კი თავს უშველა.

უეცრივ ამ ხიფათით რომ კაცი დაირჩობა, იმას რა გაეწყობა; მაგრამ ამდენს შეკრებილებაში, სადაც ასობით და ორასობით ცხენოსანი გვერდით გიდგათ; ათასობით რომ მაცქერლები გყავსთ და ამ დროს რომ თქვენი დალუპვა არავის არაფრად არ მიაჩნია და ფეხსაც არ ისველებენ, რათა სიკვდილს გადაგარჩინონ, აი ესეთი ამბავი კაცს რას არ აფიქრებინებს ჩვენს ეხლანდელს საზოგადოებაზედ!

ეს უბედურება აი როგორ მოხდა: შუა-დღეა, იორდანეს გაღმა-გამოღმით ტევა აღარა აქვს ხალხს; მღვდელ-მთავარი მღვდლებითურთ იორდანეზედ იმყოფებიან, წყლის კურთხევად არიან შემდგარნი; ამ დროს რიონის ერთის ნაპირიდამ მეორე ნაპირზედ ცხენოსნები გადიან და გამოდიან. უნდა მოგახსენოთ, რომ წელს რიონი ერთობ დაკლებული იყო ამ დღეს და ეს უფრო აბედვინებდა ბრალიანს და უბრალოს რიონში ცხენით გაცურვას. ამ მრავალ მცურავთა შორის რიონის მარჯვენა ნაპირიდგან გამოსცურა ერთმა ცხენოსანმა კაცმა, რომელსაც ნაბადიც ზედ ეხურა. ის იყო, თითქმის ნაპირას გამოაწია, ამ დროს ცხენი შეფორხილდა და წაიქცა. მხედარი კიდევ მაგრდებოდა ცხენზედ და თან მათრახსაც უქნევდა, უნდადა სირცხვილი არ ეჭამა და ქვეითი არ გამოსულიყო. საწყალი ცხენიც ცდილობდა წამომდგარიყო, ხან აქეთ და ხან იქით ბევრი იწია, მაგრამ ვერას გახდა; როგორც ეტყობოდა, უკანა ფეხი ჰქონდა ქვებში დატანებული. ცხენი გადაბრუნდა უკან, მხედარი ქვეშ მოიტანა; ორივე წყალმა წაიღო იმ ალაგას, სადაც ეს მოხდა, შხივი (მჩქეფარე წყალი) გახლდათ და ქვემოდ რამდენსამე ნაბიჯზედ (სწორედ გიმნაზიის გამოსწვრივ) იმყოფება თავ-ამოშვერილი სიპი ქვები, რომლებსაც არა ერთხელ დაუგლეჯიათ ტივები და გამბედავ მეტივეებისათვისაც კი არა ერთხელ აუყენებიათ თავზედ თმა. ამ კლდეს რომ მიუახლოვდნენ, მაშინ კი მხედარი ცხენს გაჰშორდა და პირდა-პირ ქვებს მიაშურა, ეტყობოდა, მათზედ შერჩენას ჰფიქრობდა და თავის შველა უნდოდა. ამ ქვებზედაც ბევრი ქვეითი კაცი იდგა; სწორედ ერთის არშინის მანძილზედ ჩაარბენინა წყალმა ეს კაცი, მაგრამ შველა არ შეეძლოთ, რადგანაც ხელში არა ჰქონდათ-რა და ხელის გაწვდისა ყველას ეშინოდა. ნაბდიანი კაცი კლდეზედ მიაგდო წყალმა, მაგრამ უცებ შხივში ჩაიხვია და დასძირა; იგივე მოუვიდა იმის ცხენსაც. გაჰქრნენ რამდენსამე წუთს ცხენიც და მხედარიც და ამ დროს გაისმა ხალხში ზუზუნი: „ვაი, საწყალი, დაილუპაო!“ თეთრს ხიდს ქვეშ, სადაც წყალი მდორედ მიდის, ერთის მხრით გამოჩნდა ცხენის ყურები, მეორე მხრით კაცის მათრახიანი ხელი; საწყალი ამით უკანასკნელად კიდევ გვანიშნებდა: „აქ ვირჩობი და მიშველეთო“, მაგრამ სულ ტყუილად; ვერც ამ საზარელმა ნიშანმა მოულბო გული იმ მხედრებს, რომელნიც ორის წუთის წინ ბუზებივით ირეოდნენ და გადი-გამოდიოდნენ რიონში: რაო და, ვითომ ერთი შემოგვხედეთ, რა მამაცნი და ყოჩაღნი ვართო.

წყლით გაბერილი ცხენი ძლივს გამოვიდა ნაპირას და მხედარი კი იმ ხელის გაქნევის შემდეგ არავის დაგვინახავს. ის კაცი ვინმე მკერვალიშვილი ყოფილა, რომელიც რაჭიდან დიდი ხანია აქ ჩამოსახლებული ცოლშვილით და ხელობით კი მეპურე იყო.

სასო

ბათუმის სკოლისათვის შემოწირულობა.

ბატონო რედაქტორო, საფრანგეთში მყოფი ქართველები ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი ხმა „ქართველთა მიმართ“ გაჭირვებულის ბათუმის სკოლის გამო, უდაბნოში მღაღადებელის ხმად არ დარჩება.

ჩვენ ჩვენის მხრით გიგზავნით 15 მანათს, ამ მცირეს შესაწირავს, ხსენებულის სკოლის სასარგებლოდ.

დავშთებით თქვენი პატივის-მცემლები
საფრანგეთში მოსწავლე ქართველები.

16 (27) ქრისტიშობისთვე 1886 წელსა.
ქ. პარიჟი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დიდის ხნის ლოდინი ასრულდა, ბისმარკმა აღახვნა ბაგენი თვისნი და დაიწყო ლაპარაკი დღევანდელს საპოლიტიკო საქმეებზე. მთელმა ევროპამ გაკმინდა ხმა და ყური მიაპყრა ბისმარკის სიტყვას რეიხსტაგში. ყველანი სმენად გადაიქცნენ. პარლამენტი გაივსო ხალხით. თვითოეული დეპუტატი იძულებული იყო აესრულებინა თხოვნა თავის ნაცნობისა და შეეყვანა დარბაზში.

ვიდრე თვით ბისმარკის ლაპარაკს მოვიყვანდეთ, შევატყობინებთ მკითხველს, რა სთქვა მოხუცებულმა ფელდმარშალმა მოლტკემ.

> ბატონებო, სთქვა მან,—არავის ჩვენგანს ეჭვი არა აქვს, რასაკვირველია, რომ დღევანდელი ყოფა ევროპისა მეტად და მეტად საყურადღებოა. ყველა მთავრობანი ევროპისა მხნედ და გაფაციცებით ემზადებიან სამერმისოდ. ყველა კითხულობს: იქნება თუ არა ომიო? დიაღ, ბატონებო, მე დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ერთს სახელმწიფო კაცს ვერ გაუბედნია პასუხის გება იტვირთოს. ძლიერი მთავრობა თავ-მდებია მშვიდობიანობისა. მაგრამ ხან-და-ხან ერის დაჟინება და სხვა-და-სხვა დასთა მეთაურების ამაყობა მთავრობაზე უფრო ძრიელია ხოლმე: ჩვენ ისიც კი გვინახავს, რომ ბირჟას გამოეწვიოს ომი. ჩვენ დღეს შუამავალნი ვართ. ეს საქმე ძნელი საქმეა. თუ გვინდა რომ ეს ძნელი საქმე კარგად შევასრულოთ, გერმანია უნდა ძლიერი იყოს და შეთოფ-იარაღებული. ყველა თქვენგანი ჰგრძნობს, რომ საჭიროა ჯარის გაძლიერება. უთანხმოება მხოლოდ ვადის გამოა: ზოგი ამბობს, ამა-და-ამ ვადით გაძლიერდეს ჯარი, ზოგი ამბობს, ამა-და-ამ ვადითაო. მაგრამ განა ჯარი დროებითი რამ დაწესებულებაა? ჯარი და ლაშქარი უმთავრესი სახელმწიფო დაწესებულებაა. ამ დაწესებულებასთან დაკავშირებულია ყოველივე სიკეთე სახელმწიფო ცხოვრებისა, მთელი კულტურა. სახელმწიფო ძლიერია მაშინ, როცა ძლიერი ჯარი ჰყავს და უძლურია მაშინ, როცა ჯარი და ლაშქარი უღონო ჰყავს...

მოლტკეს შემდეგ სხვამ ილაპარაკა, მაგრამ იმ სხვას ყურს აღარავინ არ უგდებდა. ყველა შესცქეროდა ამ დროს ბისმარკს, რომელიც მოუთმენელად ჰფურცლავდა რაღაც ქაღალდებს და ელაპარაკებოდა რომელღაც მინისტრს.

> აი დაიწყო ბოლოს ბისმარკმაც: მთავრობამ წარმოადგინა თავისი პროექტი და ამითი დაგიმტკიცათ, რომ გერმანიის ჯარი ძრიელი არ არის, რომ ამ ჯარს არ შეუძლიან მტკიცედ დაიცვას სახელმწიფოს სამზღვრები. ამ აზრს დაადგა ერთხმად გერმანიის ყველა გამოჩენილ სამხედრო კაცთა კრებული. ამ კრებულის ჭკუასა და გონებას არავინ არ უარ-ჰყოფს მთელს ევროპაში, გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატების გარდა (ისმის სიცილი). იმ სამხედრო საქმეთა მცოდნეებს, რომელთაც მთელი ევროპა ენდობა, ვერა ნდობიან ბ-ნი რიხტერი, ვინდგორსტი, გრილენბერგერი... რადგან მე ვერავინ დამაჯერებს, რომ რეიხსტაგმა უფრო მეტი იცოდეს სამხედრო საქმეებისა, ვიდრე გრაფმა მოლტკემ, გერმანიის გენერლობამა და გამოცდილმა სარდალმა გერმანიის ჯარებისამ — იმპერატორმა,—ამისათვის მე იძულებული ვარ სხვაფრივ ავხსნა ეს გარემოება. მეტი ღონე არ არის, ასე უნდა ვიფიქრო, რომ მოწინააღმდეგეთა დასს სახეში სამხედრო და სატეხნიკო მოსაზრებანი კი არა აქვს, არამედ სრულიად სხვა განზრახვას გაჰყოლია.

ამის შემდეგ ბისმარკის ლაპარაკი შეეხებოდა გერმანიის დღევანდელს პოლიტიკას. გერმანია სცდილობს დაიცვას მშვიდობიანობაო. ბოლგარიას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. იმის გულისათვის, მე პომერანიის ერთის გრენადერის ძვლებსაც არ გავიმეტებდიო. რუსეთთან ჩვენ კარგადა ვართო. უფრო საყურადღებოა ბისმარკის ლაპარაკი საფრანგეთისა და გერმანიის ურთიერთობაზედ.

> ჩვენ-შორის მშვიდობიანობა ძალიან ძნელი დასაცველიაო, უთქვამს ბისმარკს. 36 წელიწადია უმაღლესის პოლიტიკის ფიქრებში ვარ და ჩემი ფიქრი ყოველთვის უფრო მართალი გამომდგარა, ვიდრე ფიქრი მოწინააღმდეგეთა. საფრანგეთთან შეღლი უფრო სამზღვრების გამო მოგვდის, მაგრამ მაინც თვით ჩვენ არ დავესხმით თავს საფრანგეთსა. თუ იტყვის ვინმე, რომ საფრანგეთი იმიტომ ისხამს იარაღს, რომ ჩვენი ეშინიან, მე დავარწმუნებ იმას, რომ თუ მართლა ასეა, მშვიდობიანობა არ დაირღვევა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გერმანიას საფრანგეთის იმედი არა აქვს. შეიძლება საფრანგეთი დაესხას თავს გერმანიას, იმისთვისაც რომ მთავრობა შეიცვალოს, იმისთვისაც, რომ ვითომ ფრანგების ჯარი უფრო ძლიერია, ან იარაღი მათი უფრო კარგია. მე იმისი არ მეშინიან, რომ ჩვენ დავმარცხდებით, მაგრამ იმას-კი ვერ დავივიწყებ, რომ საფრანგეთი უძლიერესი ქვეყანაა... ერთხელ თუ ვსძლიეთ საფრანგეთს, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ მეორედაცა ვსძლევთ. მაგრამ ჩვენ რომ ვიძლივნეთ და მტერმა ბერლინი დაიპყრას, ისე როგორც ჩვენ პარიჟი დავიპყარით, მე თქვენა გკითხავთ, რა პირობის შესრულებას მოგვთხოვდნენ. მე ფულზე არას ვამბობ, თუმცა ფულის შესახებაც ფრანგები ჩვენსავით არ მოიქცევოდნენ. ისეთს ქანჩს მოგვიჭერდნენ, რომ 30 წელიწადსაც წელში ვეღარ გავმართულიყავით. მე საპოლიტიკო პირობაზე ვლაპარაკობ. მტერი ალზას - ლორენს არ დასჯერდებოდა. მოგვთხოვდა რეინის მთელს მარცხენა მხარეს. შლეზვიგსაც დავკარგავდით, პოლშის შესახებაც პირობას ჩამოგვართმევდნენ. აი რა მოგველის ჩვენ, თუ დავმარცხდით. არც-კი ჩვენ მოვექცევოდით საფრანგეთს ტკბილად, თუ ხელ-მეორედ დავიპყრობთ პარიჟს. ეს ომი ისეთი იქნებოდა, რომ ამ ომთან შედარებით 1870 წლის ომი ყმაწვილობის ცელქობას ემსგავსებოდა...

აი ამიტომ მზად უნდა ვიყვნეთ ყოველ-გვარის შემთხვევისათვისაო. მთავრობა იოტის ტოლასაც არას არ დაუთმობს რეიხსტაგსაო. არ დასთანხმდებით ჯარის გაძლიერებასა კიდევ და რეიხსტაგს დავითხოვთ და ახალს არჩევანებს დავნიშნავთო.

მოდი და ნუ იტყვით, რომ მართლაც მარტო რკინის კაცს შეუძლიან ასეთი ლაპარაკი!..

უცხოეთი

ოსმალეთი. სტამბოლის ოფიციალური გაზეთი «თარიკი» ამბობს, რომ თუ ინგლისი ეხლანდელს თავის პოლიტიკას ბოლგარიის საქმის გამო თავს არ დაანებებს, ოსმალეთი მართლაც იძულებული იქნება რუსეთს დაუმეგობრდეს და დაუახლოვდესო. ოსმალეთი ყოველთვის იმის ზრუნვაში იყოო, ამბობს გაზეთი „თარიკი“, რომ ბალკანის მიწებზე მშვიდობიანობა და წესიერება ჩამოეგდო და ამასთან სცდილობდა ინგლისის სურვილის თანახმად ემოქმედნა ყოველისფერშიო. თუ ინგლისი თავისას არ დაიშლის და ეხლანდელს გზას ფეხს არ აუქცევს, ოსმალეთი იძულებულ იქნება სულ სხვა საშუალება ამოირჩიოს ბოლგარიის საქმეების ასე თუ ისე გადასაწყვეტად, ისეთი საშუალება, რომელიც ინგლისისათვის მეტად მაზარალებელი იქნებაო. გაზ. „Neue Wiener Tageblatt“-ის სტამბოლელის კორრესპონდენტის სიტყვით, ამ წერილს გაზ. «თარიკისას» დიდი ლაპარაკი გამოუწვევია სტამბოლის პოლიტიკურს წრეებში, მით უფრო, რომ აქ ხმა გაავრცელეს, ვითომ ეს წერილი თვით სულთანის ბრძანებით არის დაწერილიო.

— «პოლიტიკური კორრესპონდენცია» ამბობს, რომ ოსმალეთი არ მიიღებს ბოლგარიის დეპუტაციას, თუ ეს დეპუტაცია სტამბოლში წავაო. დიდმა ვეზირმა ოსმალეთისამ უკვე გამოუცხადა ბოლგარიის აგენტს სტამბოლში ვულკოვიჩს, რომ ძნელად თუ დეპუტაცია ბოლგარიისა გარეშე საქმეთა სამინისტროში მიიღონო.

— სტამბოლიდგან დეპეშით აუწყებენ გაზეთს „Times“-ს, რომ სერ ვილიამ უაიტი ნამდვილად არის დანიშნული სტამბოლში ელჩად ბ-ნის ტორნტონის მოადგილედაო.

* * *

საფრანგეთი. გაზ. „République Française“-ს აუწყებენ რომიდგან, რომ სამხედრო მინისტრის წინადადებით კოროლ გუმბერტმა პრინცის ჟერომ-ნაპოლეონის შვილი, ლუდოვიკ-ნაპოლეონი თავის ჯარის ოფიცრად დაჰნიშნაო. აი ამ ამბავს რა შენიშვნას უკეთებს თავის მხრივ ზემოხსენებული საფრანგეთის გაზეთი: „მე-21 მუხლი „Cade Napoléon“-ისა ამბობს: ის ფრანგი, რომელიც იმპერატორის ნება-დაურთველად სხვა სახელმწიფოს ჯარის სამსახურში შევა, ფრანგად აღარ ჩაითვლებაო. ამ მუხლის თანახმად პრინცი ლუდოვიკ-ნაპოლეონ ბონაპარტე საფრანგეთის მოქალაქედ აღარ ჩაითვლება მას შემდეგ, რაც სხვა სახელმწიფოს სამსახურში შევიდაო.

— პარიჟის გაზეთ «Temps»-ის რეპორტიორი ამბობს: ბოლგარიის დელეგატები დარწმუნდნენ, რომ მათმა დიდთა სახელმწიფოებთან წასვლამ არავითარი სარგებლობა არ მოიტანაო. ამ ჟამად ეს დელეგატები თვითონვე აღიარებენ, რომ ბოლგარია ისეთსავე გაჭირვებულს მდგომარეობაშია ეხლაც, როგორც ადრე იყოვო.

* * *

გერმანია. ამას წინად გაზეთ „Times“-მა დაჰბეჭდა წერილი და ამტკი-

ცებდა, რომ რუსეთი და გერმანია დაუმეგობრდნენ, შეუკავშირდნენ ერთმანერთსაო. ამასთან ეს გაზეთი იმ პირობებსაც კი აცხადებდა, რა პირობებითაც შეერთებულა ეს ორი დიდი სახელმწიფოო. რუსეთი დაჰპირებია ვითომ გერმანიას, რომ თუ საფრანგეთთან ომი მოგიხდა, მე განზედ გავდგები და თქვენს საქმეში არ ჩავერევიო; გერმანია-კი თავის მხრივ იმას დაჰპირებია ვითომ რუსეთსა, რომ თუ ავსტრიას შეებრძოლე, მე ხმას არ ამოვიღებ და არ წავესარჩლებიო. ამ ამბავს ლონდონში დიდი ლაპარაკი და ბაასი აუტეხნია, თუმცა მეორე დღესვე გაზეთ „Standard“-ს პეტერბურგიდგან მოსვლია დეპეშა, რომ „Times“-ის მიერ გავრცელებული ხმა სიცრუეა და არავითარი კავშირი არა არსებობს რუსეთისა და გერმანიის შორისაო.

— გაზ. „Daily News“-საც ზემოხსენებულს ამბავს კვერსა სცემს და აცხადებს, რომ „Times“-ი არა სტყუის და მაგ ამბავის სიმართლეს ჩვენს სტამბოლელის კორრესპონდენტის დეპეშაც ამტკიცებსო. ამავე გაზეთში დაბეჭდილია ამ სტამბოლელის კორრესპონდენტის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ოსმალეთმა იცის რუსეთისა და გერმანიის შეკავშირებაო. იმიტომ შეკავშირდა ეს ორი სახელმწიფო, რომ ბოლგარიიდგან ახლანდელი სარეგენტო მთავრობა განაძევონ და სხვა დაჰნიშნონო. ოსმალეთმა პირობა მისცა ამ ორ ახალ მოკავშირე სახელმწიფოთა, რომ როგორც მირჩევთ, ისე მოვიქცევიო და საფრანგეთმა-კი თავის მხრივ თავს იდვა, რომ ყოველსავე საქმეს, რომელიც-კი საწინააღმდეგო და მაზარალებელი იქნება რუსეთისა და გერმანიის კავშირისათვისაო, წინააღმდეგობას გავუწევ და ვეცდები, ხელი შევუშალოვო.

— ამავე საქმის გამო ლონდონიდამ დეპეშით აუწყებენ გაზ. ‹Matin›-ს, რომ გაზ. ‹Times›-ის მიერ ნაამბობი ამბავი მოგონილი ამბავია და სხვა არარაო. გერმანიამ რუსეთს ზოგიერთი უპირატესობა მიანიჭა ბოლგარიის საქმეში და ეს ამბავი კი გაზეთს „Times“-ს მეტის-მეტად გაუდიდებია და გაუზვიადებიაო.

ეგვიპტე. სტამბოლიდგან დეპეშით აუწყებენ „რეიტერის სააგენტოს“, რომ აქამდე ინგლისის მთავრობა ხმას არ იღებს და არაფერს ატყობინებს ოსმალეთს სუეზის არხის გამოვო კერძოდ და საზოგადოდ ეგვიპტის საქმეზეო. ოსმალეთში დარწმუნებულნი არიან, რომ ინგლისი ამ რამდენსამე ხანში წარმოსთქვამს თავის აზრს ეგვიპტის საქმის გამოვო.

გასართობი

60-ის წლის ქვრივი. ერთს სამოცის წლის ქვრივს ძალიან შეჰყვარებია 22 წლის ყმაწვილი კაცი, სტუდენტი გორაციო სეიმური. პირველში ყმაწვილი-კაცი სასაცილოდ იგდებდა თურმე ქვრივის სიცილია პალმერის სიყვარულს, ხოლო შემდეგში, როცა ქვრივმა სთხოვა შემირთე და ეხლავე ანდერძს დავსწერ და 120,000 მანათს გიანდერძებ, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ მიიღოვო, ყმაწვილი-კაცი დასთანხმებულა. ქორწილი გამართეს თურმე და დასახლდნენ ქ. პუტნეიში. ქორწილის დღიდგანვე, 12 სექტემბრიდგან, სეიმური დაკარგულა სადღაც და აღარ გამოჩენილა, აღარავის უნახავს. უნდა შევნიშნოთ, რომ ვაჟის მამა ადრევე უარს იყო თურმე ამ ქორწინებაზე. ვაჟი დაჰპირდა მამას, რომ 10,000 მანათად ღირებულს მამულს, რომელიც ცოლმა უნდა მომცეს ქრთამში, ჩემს გაუთხოვარს დას გავატან მზითევშიო და ამით დაუთანხმებია. გაიარა თურმე სამმა თვემ და შვილისაგან არავითარი პასუხი არ მიუვიდა მამას. ბოლოს მოხუცი ამდგარა და თვითონ წასულა პუტნეიში. რძალს უთქვამს, რომ ჩემი ქმარი შინ არ არის და ამასთან ყველა ჩემის ქმრის ნათესაობასა ვსთხოვ, რომ ჩემს სახლში ფეხს ნუ შემოსდგამენო იმათ აქ ადგილი არა აქვსთო. რძალის მკაცრს სიტყვებს შეუშინებია საბრალო მოხუცი და პოლიციაში გამოუცხადებია, რომ ჩემი შვილი აღარა სჩანს და იმის თავს რაღაცა უბედურებააო. პოლიციას გაუჩხრეკია ქვრივის სახლი და საბრალო სეიმური საწოლ ოთახში უნახავთ თოკებით დაბმული. ყმაწვილი-კაცი ცხარე-ცრემლებითა სტიროდა თურმე და გამოაცხადა, რომ ქორწილის დღიდგანვე ასე დაბმული ვყევარ ჩემს ცოლს თოკებითა და ისეთი იჭვიანია, რომ ვგონებ არასოდეს არ გამანთავისუფლებს აქედგანაო. საბრალო სტუდენტს მთელი ტანი თოკებისაგან დასერილი და დაოსებული ჰქონდა თურმე. ყმაწვილი-კაცი სამკურნალოში გაუგზავნიათ, ქვრივისათვის წელიწად-ნახევარი ციხეში ჯდომა გადაუწყვეტიათ და განუქორწილებიათ.

უნუგეშო სიყვარული. 1798 წელს შვიდმეტის წლის ინგლისის ქალი მატილდა ჯონსონი დანიშნულა ახალგაზრდა პარუჩიკზე. ქორწინებამდე პარუჩიკი გარდაცვლილა. საბრალო ქალი, ადრე-და-მალე დაქვრივებული, გადასახლებულა თავის მამულს ბალტინგლასში და დაბინავებულა მარტოდ-მარტო. ამავე წელს ანდერძი დაუწერია და მთელი თავისი ქონება, 150,000 მანათი, სამხედრო სამკურნალოსათვის უანდერძნია. ამას გარდა ანდერძშივე გამოუცხადებია, რომ როცა მოვკვდე, ჩემს საფლავზედ მარმარილოს ძეგლი დაადგმევიხეთ და ამ ძეგლსა ჩემის სახელისა, გვარისა და წლოვანების გარდა ზედ წააწერეთ: „გარდაიცვალე საყვარელის კაცის გამო ტანჯვასა და მწუხარებაში“. როგორც ინგლისის გაზეთები გვაუწყებენ, მატილდა ჯონსონი ამ დღეებში გარდაცვლილა და 106 წლამდე უცოცხლია. 88 წელიწადი გავიდა მას აქედ თურმე, რაც დანიშნული საყვარელი კაცი მოუკვდა და ამ 88 წლის განმავლობაში სულ იმასა გლოვობდა, არავის იკარებდა, არავის ეკარებოდა და ტანიდგან შავებს არ იშორებდა.

დეპეშა

8 იანვარს

ლონდონი. გოშენმა სიტყვით მიჰმართა ლივერპულის ამომრჩევლებს და სხვათა შორის სთქვა: „როგორც გერმანიის იმპერიის კანცლერი ცდილობს, რომ მშვიდობიანობა დაცული იყოს, სწორედ აგრეთვე ამასა ცდილობს ინგლისიც, რომელსაც არასოდეს თავში აზრადაც არ მოჰსვლია, ევროპიის საქმეები აწეწოს ვიღაცა სახელმწიფო გვარეულობის ან ერთის კაცის გულისათვის. ბრიტანიის მთავრობა არასოდეს არ გამოჰსარჩლებია პრინც ბატენბერგს იმ განზრახვით, რომ იგი ხელმეორედ დაესვათ ბოლგარიის სამთავრო ტახტზე. იმის შესახებ, თუ ვინ იქნება ბოლგარიის მთავრად ამორჩეული, მთავრობას თავის პოლიტიკის სახელმძღვანელოდ ბერლინის ხელშეკრულობა ექნება. მთავრობა ისე არ დაიჭერს საქმეს, რომ სხვა სახელმწიფონი განზე გაუდგნენ, ის სახელმწიფონი, რომელთაც მართლა მშვიდობიანობა ჰსურთ. ინგლისი გულ-გრილად არ უყურებს ბოლგარიას, თუმცა არც ჩვენი საქმე კია პირველად საქმე ჩვენ დავიწყოთო“.

ბერლინი. პრუსიის სეიმის „დიდთა“ პალატამ ერთხმად და ულაპარაკოდ შეადგინა და მიართო იმპერატორს შემდეგი ადრესი: „პრუსიის ჯარი იმ სახით, როგორიც დღეს არის, იმპერატორმა შეჰქმნა. „დიდთა“ პალატა და მასთან ერთად მთელი სახელმწიფო დიდადა სწუხს, რომ იმპერატორმა, ხანგრძლივის და სასელოვანის მეფობის შემდეგაც, ვერ აიცილა თავიდამ ის მწუხარება, რომელიც მას მიაყენეს იმითი, რომ არ დასთანხმდა პარლამენტი მიეცა ის ფული, რომელსაც მთავრობა თხოულობდა ჯარების გასაძლიერებლად, და ისეთი პირობები დაუდო, რომლის მიღება მთავრობას არ შეუძლიან. პრუსიის ერისათვის არა მსხვერპლი ძნელი არ იქნება, ოღონდ ჯარი საომრად მზად იყოს.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

იანვარი 31 დღით არის.

9 დღე პარასკევი. წმ. მოწ. პოლიევქტისა. კათოლ. მარციანისა და სალვიასი სომეხ. მე-4 დღე ნათლი-ღებიდგან, სალამოთი ნახატონაქი. მუსულ. მე 28 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1304 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—0. ტფილისში მზე ამოდის 8—22, ჩადის 5—1; მთვარე ამოდის 6—1 დილ. მთვარე 27 დღისაა.

10 დღე შაბათი. წმ. გრიგოლ ნოსელისა. კათოლ. აღატონისა და ვილჰელმისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—0. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 5—2; მთვარე ამოდის 6—48.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი. . . .	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საღამოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირას ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

პეტერბურგის ბირჟა, 7-ს იანვარს 1887 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 67 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	170 მან.
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთი	240 მან.	—	
— მეორისა	—	—	230½ მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	—	—
ქუთაისის ბანკისა	—	—	—

განცხადებანი

საღმრთო წიგნთ-საკითხავი კაბინეთი, რომელიც იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, გადავიდა კრუზენშტეინის ქუჩაზე, ქუკოვის სახლებში № 13, სამუსიკო სკოლის ზემოდ.

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში და ქუთაისში ახალი სახელმძღვანელო წიგნი სკოლებში და ოჯახში სახმარებელი.

ქართველი მწერლები
I
საბა-სულხან
ორბელიანი
ფასი 15 კაპ.

ამ წიგნში შეკრებილია საბა-სულხან ორბელიანის იგავ-არაკები, ამოღებული „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნიდამ; წინ წამძღვარებული აქვს წინა-სიტყვაობა და ვრცელი ბიოგრაფია ავტორისა. წიგნს აქვს სახეში დაეხმაროს მასწავლებლებს და მოწაფეთ ქართულს ენის და ლიტერატურის შესწავლაში. ყოველს ძნელ სიტყვას, რომელსაც-კი მოწაფე ჰპოვებს ამ წიგნში, განმარტება აქვს მიცემული იქვე სხოლიოში. ვინც ნაღდს ფულზედ დაიბარებს ამ წიგნს პირ-და-პირ გამომცემლისაგან არა ნაკლებ 10 ეგზემპლიარისა, მას 20% დაეთმობა.

ადრესი: Тифлисъ. Александровскій учительскій институтъ. М. А. Насидзе. (5—4)

საყოველ-კვირაო სალიტერატურო და მხატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამით და შინაარსით, როგორც აქამდე, ხოლო ფორმატი გაზეთისა შეიცვლება: წინ-და-წინდელზე ერთი ორად დიდი იქნება, ასე რომ წლის ბოლოს გაზეთი «თეატრიდგან» შესდგება ორი დიდი წიგნი, რომელიც შეიცავს 1664 გვერდს.

რადგანაც აქა-იქა მატულობს რიცხვი სცენის მოყვარეთა, ამისათვის რედაქცია თავის მოვალეობადა ჰრაცხს ბეჭდოს სხვათა შორის სცენაზედ ადვილად წარმოსადგენი პიესებიც.

ფასი თეატრისა იგივეა: ერთი წლით 5 მან. ნახევარ წლით 3 მან.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ. Контора редакціи газ. „Театръ“. Галлерея быв. Ардруни, № 149.

ყველა პირობები ვრცლად არის მოხსენებული „თეატრის“ პირველ ნომერში.

წლიური ხელის მომწერნი წლის დამლევს მიიღებენ საჩუქრად ოქროს ვარაყიან ყდაში შეკრულს დიდ წიგნს, რომელშიაც იქნება არა ნაკლებ სამი კლასიკური პიესისა და რომელიც ეღირება არა ხელის მომწერთათვის ორი მანეთი. (5—2)

მიიღება ხელის-მოწერა 1887 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

„მწყემსზედ“

და „მწყემსი“-ს რუსულ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო ქმნება; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილის ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

«მწყემსი» რუსული დამატებით მომავალი წლიდამ გამოვა სურათებით. ქართული გამოცემა გამოვა სამჯერ თთვეში და რუსული ორჯელ.

ფასი გამოცემისა:

მთელი წლისა გაგზავნით	5 მან.
ნახევარი	3 —
„მწყემსი“ რუსული გამოცემით:	
მთელი წლის გაგზავნით	6 მან.
ნახევარი	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით . . .	3 —
ნახევარი წლით . . .	2 —

წერილების გაგზავნა და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“ (пастырь). ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

Дозв. ценз. Тиф. 8 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე